

„ესე ამბავი სპარსული“

I

„ესე ამბავი სპარსული... ვპოვე და ლექსად გარდავ-
თქვი“...

გასაკვირი თითქოს არაფერია, პოეტი პოემისათვის მზა ქარგას იყენებს და არც მაღავს მის წარმომავლობას. გასაკვირი არაფერია, მით უფრო, დამაეჭვებელი და საორჭოფო. დიდი კლასიკა უმეტესწილად მზა ქარგებმა შექმნა. მაშ, საიდანღა ჩნდება გარკვევით ნათქვამი, მოულოდნელად და ხაზგასმით ნათქვამი – „საქმე ვქმენ საჭოჭმანები“? სიტყვა „საჭოჭმანები“ ასეთ საკვანძო ადგილას შემთხვევით არამც და არამც არ დაისმებოდა, იგი მკითხველზე შემაკროთობლად მოქმედებს და, როგორც ჩანს, ასედაც არის ჩაფიქრებული. რაღაცას მიგვანიშნებს და არ გვიხსნის. მაგრამ რას?

შეიძლებოდა, ტექსტზე გარკვეული ძალდატანებით, ეს ნახევარტაეპი თავის მომდაბლების შესტად მიგველო, ასეთი რამ ბევრ დიდ ავტორთან გვხვდება. მაგრამ რუსთაველი მაგ ჰანგზე არასოდეს მღერის. არც სიუჟეტის მხატვრული ღირებულება აეჭვებს – „მარგალიტი ობოლი, ხელიხელ საგოგმანები“ – და არც საკუთარი შესაძლებლობა – „აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი“.

II

საჭოჭმანოდ მაინც ქარგის აღებაა მიჩნეული, სხვა წაკითხვა არ ჩანს. მაგრამ ქარგა რომ არსაიდან აუღია? სიუჟეტის უცხო წარმომავლობა, მიუხედავად ზოგიერთი მეცნიერის თავგამოდებისა, არ დამტკიცდა. მსგავსი მოტივები კი შეუძლებელია, არ აღმოჩენილიყო, მათი რიცხვი, მით უფრო საგმირო ეპოსში, აკი თითზე ჩამოსათვლელია. მაგრამ ქარგას, რომელზედაც ისინია ასხმული, შორეული ანალოგიც არ დაეძებნა, სულ ტყუილი გამოდგა ამდენი ვნებათაღელვანი. ეს ყველაფერი დღესდღეობით სავსებით გარკვეულია. ოღონდ დავიმახსოვროთ, რომ სიტყვა „საჭოჭმანები“ ჯერ ისევ ახსნას მოითხოვს.

...შორეული ანალოგიც არ დაეძებნა და არც შეიძლებოდა, დასძებნოდა. „ვეფხისტყაოსნის“ ორივე პარალელური სიუჟეტის ამოსავალი წერტილი ერთი და იგივეა – „სხვა ძე არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მართოდ ასული“. ორივე შემთხვევაში ეს არის გიორგი მესამის კარი. მეფის უძეობა მტკივნეულ პოლიტიკურ და ეროვნულ პრობლემად იქცა, მაგ საკითხს ცოტა ქვემოთ ისევ შევხებით, და რუსთაველს იმდენად მნიშვნელოვნად ესახება ეს პრობლემა, რომ ორივე სიუჟეტის საძირკველად უძეობის ამბავს დებს და მთელ შენობას მასზე აშენებს, საამისოდ კი, ძნელი სავარაუდოა, მზა სიუჟეტი ასე სახელდახელოდ ეპოვა, ორმაგი სიუჟეტი მეფის უძეობაზე, თანაც იმგვარად ორიენტირებული, რომ თავისი რთული, არაერთგვაროვანი სათქმელის რეალიზაციისთვის გამოსდგომოდა.

და მაინც – „ესე ამბავი სპარსული“... რისთვისღა დასჭირდა მკითხველის ყალბ გზაზე დაყენება? როგორც გვარწმუნებენ, ამბის გაუცხოებისათვის: სიუჟეტის სპარსულობა ნაწარმოებს მეტ პრესტიჟს შესძენდა. არადა, მოქმედება ისედაც უცხო გარემოში, ნახევრად ზღაპრულ „არაბეთსა“ და „ინდოეთში“ ხდება. კიდევ რაღა გაუცხოებაა საჭირო? პრესტიჟი კი... ნუთუ რუსთაველი ვერ გრძნობდა თავისი პოემის სრულქმნილებას, რომ სპარსულობის უიმედო ხავსს არ მოსჭიდებოდა?

III

ახლა სათქმელს სხვა მხრიდან შემოვუაროთ, რომ მერე ყველაფერმა თავი ერთად მოიყაროს. მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ჩვენში ღრმად გამჯდარი ტრადიციის წინააღმდეგ, ყველა და ყველაფერი, ვინცა და რაც მოგვწონს, იდეალურად მივიჩნიოთ და ლამის მკვდარ კერპებად ვაქციოთ. ტარიელი რაინდისა და მიჯნურის იდეალია, ასევე ავთანდილიც. არის კი ეს ასე, რუსთაველს მართლა იდეალურებად ჰყავდა ისინი ჩაფიქრებული? შუასაუკუნეობრივი თეზისი, რომ ადამიანის ვალია, ესწრაფოდეს იდეალურობას, მაგრამ იდეალური მხოლოდ ღმერთია, რუსთაველთან და მის გმირებთან წყვეტს თავის მოქმედებას? იდეალს ნამდვილად ესწრაფვიან, ეს ამკარაა, მაგრამ ხვარაზმელი უფლისწულის ღალატით მოკვლა და მერე მეფესთან სიცრუით თავის მართლება, ანდა ფატმანის ეპიზოდები ზნეობრივი კომპრომისი არ არის და რუსთაველი იდეალურ ნორმად მიიჩნევს ამგვარ საქციელს?

პარალელისთვის შექსპირის გმირებს მინდა მივმართო, ქართული ტრადიციისთვის, მაჩაბლის ხელდასხმით, ესოდენ ახლობელს, ვთქვათ, იმავე ოტელოს. ისიც, ჩვენი წარმოდგენით, ასევე იდეალურ გმირად არის ჩაფიქრებული. ქართულ სცენაზე მისი ერთადერთი დანაშაული ის იყო, რომ შავკანიანად გაჩნდა, არავითარი სხვა ნაკლი. ტექსტთან მიახლოება კი გვარწმუნებს, რომ თურმე მთლად ასეც არ არის საქმე. ოტელო ცოტა ზედმეტად ყინჩია, ცოტა ზედმეტად თავდაჯერებული, რის უკანაც, როგორც ჩანს, მტკივნეული შინაგანი უკმარობა იმალება, და რამდენადმე მარტივ კაცადაც „იკითხება“ მაღალცივილიზებული და „ცბიერი“ ვენეციის ფონზე. რაც თავს დაატყდა, სანახევროდ მაინც თავისი ხასიათის წყალობით დაატყდა. ასევეა სხვა გმირებთანაც: ლირი კერპი და შეუსმინარია, ჰამლეტი ცოტა არაამქვეყნიური. უნდა არსებობდეს თუნდაც სულ უმნიშვნელო ბზარი, საიდანაც კოლიზია შემოაღწევს. შეუმცდარი გმირი შეიძლება დაიღუპოს, მაგრამ ტრაგედიისათვის შეუვალია.

III

ტარიელიც, რაინდის იდეალად შერაცხილი სწორუპოვარი მოყმე, ცოტა ზედმეტად თავდაჯერებული ხომ არ არის, ცოტა ზედმეტად განუხჯელი? რის გამოც ხატაეთში კინალამ თავი წააგო, ბედნიერმა შემთხვევამ გადაარჩინა. მაგრამ მისი ხასიათის მთავარი ნაკლი იქნებ, ჰამლეტის მსგავსად, ნებელობის სისუსტე უფროა: მას, მიუხედავად უებრო მებრძოლობისა და ვაჟკაცური შემართებისა, მთელი პოემის მანძილზე წარმმართველი

ხელი სჭირდება. ეს ჯერ ნესტანია, მერე ავთანდილი (შუალედში ასმათიც ხომ არა? საერთოდ, გადარჩებოდა კია უასმათოდ?), მათ გარეშე იგი ცხოვრების მდინარებას წინააღმდეგობის გარეშე მიჰყვება, წავა, საითაც წაიღებს. რაც თავს დაატყდა, უცილობლად მისი ხასიათიდანაც გამომდინარეობს. ყველა დიდ შემოქმედთან ეს ასეა, მაგრამ ამას სათანადო ანგარიშს არ ვუწევთ. ჩვენმა მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურამ მკვეთრ აქცენტებს მიგვაჩვია. ის, რაც მკვეთრად აქცენტირებული არ არის, მეორეხარისხოვანი ანდა სულაც შემთხვევითი გვგონია...

IV

იდეალურობისადმი ჩვენს ამგვარ მიმართებას აქვს თავისი მიზეზებიც და გამართლებაც, შესაძლოა, აქვს თავისი დადებითი მხარეც, მაგრამ ბევრი რამის სწორად დანახვაში ხელი ნამდვილად გვეშლება. „ვეფხისტყაოსანშიც“ ზოგიერთი პასაჟის სწორად წაკითხვას დოგმად ქცეული იდეალურობა არ გვანებებს. ძველი ბერძნები თავყანს სცემდნენ ჰომეროსს, არადა, მათვე ეკუთვნით ფრთიანი გამოთქმა: „ზოგჯერ ჰომეროსიც ჩათვლემს“. პერსონაჟები პერსონაჟებად, მაგრამ თვითონ რუსთაველი ხომ იდეალთა იდეალია, ლამის ყველა ადამიანური თვისებისაგან განვძარცვთ. იგი ანტიკური და რენესანსული მაღალი, მაგრამ ზოგადი იდეების სამყაროში ცხოვრობს, პირობით გარემოში, გამოხშირულ, უჰაერო სივრცეში. ბრძენთა ციტატებითა და ასტრონომიული ცოდნით იკვებება. მთელი აღმოსავლეთ-დასავლეთის საიდუმლო მოძღვრებებისათვის თავი მოუყ-

რია და სტროფიდან სტროფში სხვათაგან მოხმობილ მრავალსაუკუნოვან ეზოტერულ სიბრძნეს გვიქარაგმებს. რა ხდება მის გარშემო, ქართულ სინამდვილეში, ამაზე ძარღვიც არ ერხევა. ქართული სინამდვილიდან ერთადერთი რამ იცის: თამარს აქებს.

სტროფის პირველი სტრიქონის წერისას, არისტოტელეს ჩაუკირკიტდებოდა, სარითმო ოთხეულის თითოეულ სიტყვას პროკლე დიადოხოსთან შეაჯერებდა, სტროფის ბოლო სტრიქონს მოულოდნელად იოანე ოქროპირის ქადაგებათა რომელიღაც უჩინარ სქოლიოში წააწყდებოდა... ოღონდ ერთ ცოდვაში მაინც არის შემჩნეული: პლატონს დაიმოწმებს და – თავისას ამბობს! მოციქულს დაიმოწმებს და – იქაც თავისას ამბობს! ვერც ერთი წყარო ვერ დადგინდა. ვთქვათ, პლატონს უამრავი სხვა დიალოგიც მიეწერებოდა, რომლებსაც დღეს მეცნიერება ნაყალბევად მიიჩნევს. მაგრამ „შიში შეიქმს სიყვარულსა“ წერია რომელიმე მოციქულთან? ან მთელ ბიბლიაში სადმე წერია? ან თუნდაც ყურანში? ვინ იცის, ყოველ ასეთ დამოწმებაზე კვიმატი ღიმილით ჩაელიმებოდა...

V

ახლა კი ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ რუსთაველი საკუთარ განცდილსა და ნანახსაც ამბობდა, ჰქონდა იმედები, ეჭვები, ილუზიები, შეცდომები... რომ თავის სამშობლოსთან სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული. რუსთაველის ენა აკი თითქმის ყველა ქართული კუთხის კილოკავს მოიცავს, რაც, საეჭვოა,

მწიგნობრული გზით ჰქონოდა შეთვისებული. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ საქართველოს ბევრ კუთხეში კარგახნობით უცხოვრია, ახლოს იცნობდა მათ ყოველდღიურ ყოფას, რა უჭირდათ და რა უღბინდათ. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ გულთან მიჰქონდა ეს ყველაფერი და არაპირდაპირი სახით მის სტროფებშიც აირეკლა. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ „ქართლის ბედზე“ ისიც ბევრს ფიქრობდა და ძალიან მტკივნეულადაც, რადგან სრულიად ბედნიერი ხანა საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა, მხოლოდ ლეგენდაა. მტკივნეული ეროვნული პრობლემები ყველა ეპოქაში გვყოფნიდა. და აქ ისევ მეფის უძეობას მივა-დექით.

VI

იმ დროში და იმ გარემოებათა კვალდაკვალ, იმ ისტორიულ გზათშესაყარზე თუ, როგორც შემდგომ გამოირკვა, იმ ისტორიულ გზათგასაყარზე, გიორგი მესამის უძეობა გაცილებით დრამატული, გაცილებით ღრმა მნიშვნელობებით დატვირთული ამბავი იყო, ვიდრე ერთი ჩვეულებრივი მეფის ჩვეულებრივი უძეოდ გადაგებაა. დიდი დინასტია, რომელმაც საქართველოს გაერთიანებისა და პირველხარისხოვან სახელმწიფოდ ქცევის ურთულესი მისია აღასრულა, დინასტია, რომლის ბედი თუ უბედობა უკვე მთელი სახელმწიფოს ბედთან თუ უბედობასთან იყო გათანაბრებული, სამუდამოდ წყვეტდა არსებობას.

გიორგი მესამე ცოდვიანი მეფე იყო, მისი კანუნი ცოდვა ძმისა და ძმისწულის მიმართ ცას შეჰლალადებდა. ამიტომ დიდი იყო შიშიც, რომ ეს უძეობა ღვთისგან მოვლენილი სასჯელია არა მხოლოდ მეფეზე, არამედ მთელ საქართველოზე. კატასტროფის წინააღმდეგ, ზეგარდმო, ავბედითი ნიში.

გიორგი მესამის ცოდვიანობა, მატთანეში ასე მძაფრად თქმული, ცხადია, არ არის, მაგრამ ამით შინაგანი სიმძაფრე არ აკლდება. ოფიციალურმა ვერსიამაც ეს მეფე ცოდვებისაგან ვერ განწმინდა.

ავი წინათგრძნობა, როგორც ჩანს, თამარის მეფობაშიც არ გამქრალა და, ალბათ, ამითაც იყო გამოწვეული, რომ სიცოცხლეშივე დაიწყო თამარის დაუღალავი განღმრთობა – იგი ღმერთის მეოთხე ჰიპოსტასადაც კი გამოაცხადეს. ხოლო ამ შემთხვევაში სწორნი არიან ლომის ლეკვები – დინასტია გადარჩა. ორთოდოქსული მოძღვრების თვალსაწიერიდან ეს გაუგონარი მკრეხელობა, სამების, დაე, თუნდაც მეტაფორული ხელყოფა, უფრო ეროვნულ-პოლიტიკური საჭიროებით ჩანს გამოწვეული, ვიდრე მეფისადმი ლიქნით. მესიანისტური თვითრწმენა ერის შესაკვრელად ყველაზე მტკიცე დულაბი იყო და ყველა ღონეც უნდა ეღონათ, რომ ხელიდან არ გასხლტომოდათ.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მაღალი არისტოკრატიული და მწიგნობრული წრეები ბაგრატიონთა დინასტიის ღვთაებრიობაში ასე ღრმადაც არ იყვნენ დარწმუნებული და დავით წინასწარმეტყველთან მათი ნათესაობა მარჯვედ მოფიქრებულ ლეგენდად მიაჩნდათ.

იმის გათვალისწინებით, რის თქმასაც ვაპირებ და ჯერ არ მითქვამს, არც რუსთაველი ჩანს მაგ თვალსაზრისით მეტისმეტად მალემრწმენი. მაგრამ ეს პრინციპულად არაფერს ცვლის. საზოგადოებაში გამეფებული ავი წინათგრძნობა თავისთავად იქნებოდა შიშის აღმძვრელი. ამგვარად მოაზრენი ალბათ კიდევ უფრო ცხადად ხედავდნენ, რომ არათუ იმპერიის, არამედ თვით ქართული სამთავროების ერთიანობა არ იყო სრული და უპრობლემო, რომ გაერთიანებიდან გასული რამდენიმე ათეული წელი – ერთი კაცის ცხოვრება – არ ქმნიდა მკვიდრ და შეუვალ ტრადიციას. დავით აღმაშენებლის გამეფებისჟამინდელი საქართველო გუშინდელი დღე იყო და სულ იოლი ჩანდა იმ გუშინდელთან შეცარი მიბრუნება. გონიერი თვალი ახლოდან ალბათ უკეთ ხედავდა, სად რა საფრთხე იყო ჩაბუდებული. წინ ორი გზა იდო – იმედისა და შიშისა. აქედან ორი სიუჟეტური ხაზი: პირველი – იმედი – „არაბთა“ სამეფო კარი და მეორე – „ინდოთა“ სამეფო კარი – შიში.

ცხადია, პოეტი პოლიტიკურ ტრაქტატს არ წერდა, რომ ყველაფერი წვრილად მიმოეხილა, ეპოსის კანონები თავის სიუჟეტურ სვლებს კარნახობდა, უმთავრესი კი პოეზიის ხელოვნება იყო, ქართული სიტყვის ფერი და ხმოვანება, მაგრამ ის ორი ხაზი, ის ორი გზა მხედველობიდან არასოდეს ეკარგება – იმედისა და შიშისა. ფიქრობს, ვარაუდობს, გვაფრთხილებს.

VII

„არაბეთმა“ უძეობის განსაცდელი იოლად დაძლია. იქ ყოველგვარი სიმართლე დაცულია, ღვთაებრივიცა და ადამიანურიც. ყველა დამოკიდებულება გამთბარია ნდობით, სიყვარულით, ერთგულებით. ურთიერთობებში სიყალბისა და სიცრუის ნატამალიც არსად არის. შესაბამისად, სიმშვიდე და ჰარმონია სუფევს. „ინდოეთის“ კარი ცივია, ურთიერთობები გაუხსნელი, დაძაბული, უნდო. სიცრუე თანდათან ღრმად იჭრება და თავის ავბედით ზეიმს მართავს. ტრიალდება მძიმე ცოდვა – უდანაშაულო ხვარაზმელი უფლისწულის მკვლელობა. მასში ყველას ურევია ხელი, ტარიელს, ნესტანს, ფარსადანს. განგება კი დანაშაულს სასჯელის გარეშე არ ტოვებს: ისჯებიან მონაწილენი, ისჯება მთელი სამეფო, – ფარსადანის გარდაცვალება, ქვეყნის დაქცევა და გაპარტახება, ნესტანის ტყვეობა, ტარიელის გატყუება... ტანჯვა, სასოწარკვეთა... ყოველივე ეს საზღაურია. ვინც ფიქრობს, რომ პოეტი არ მიიჩნევს ამ მკვლელობას დანაშაულად, არ უკვირდება მიმალულ ქვეექსტებს. უბრალოდ, მკვეთრი აქცენტი არ არის დასმული. იმიტომ, რომ პოეტურად წამგებიანია მოსამართლის მანტიის წამოსხმა, მაგრამ არა მხოლოდ მაგიტომ...

ორი სიუჟეტური ხაზის პარალელიზმი – პოზიტივი და ნეგატივი... ძალზე შთამბეჭდავი ხერხია მიგნებული, რომ ამბის მდინარებამ დაფარულ სათქმელთან ფრთხილად, წინდახედულად მიგვიყვანოს.

მაგრამ ვიდრე ამ თემას განვაგრცობდეთ, მინდა, ცოტა ხნით ხვარაზმშას მკვლელობაზე შევჩერდე.

VIII

უცხო უფლისწულის ღალატით მოკვლასთან დაკავშირებით ბოლო ხანებში საკმაოდ უსიამოვნო კამათები გაიმართა, თან ლიტერატურაში ჩაუხედავი უცხოელებიც უტიფრად ჩამოგვერივნენ – „ეს რა ქვეყანაა, სტუმრად მოწვეულ უფლისწულებს რომ ვერაგულად ხოცავენ!“ ვითომ მათ ჰამლეტებსა და ფაუსტებს ნაკლები ცოდვები ამძიმებდეთ, თითქოს თავიანთი ცხოვრების გზა უდანაშაულო ადამიანების ცხედრებით არ ჰქონოდათ მოფენილი. რაც შეეხებათ ჩვენს მეცნიერებს, ისინი სასწორის პინას დაბეჯითებით მკვლელობის სასარგებლოდ ხრიან, ორმაგი მორალის მოშველიებით ცდილობენ ამ აქტის გამართლებას. როგორ შეიძლება იდეალურმა ტარიელმა და იდეალურმა ნესტანმა დანაშაული ჩაიდინონ! ისინი ხომ ღვთაებრივები არიან! მთავარია, იდეალურობის დოგმა არ უნდა დაიმსხვრეს. ვითომ მაგ სინდრომის ჩამოშორებით ნაწარმოებს რამე აკლდებოდეს, ვითომ მისი ცოცხლად აღქმისათვის, პირიქით, უმჯობესიც არ იყოს. „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“ – გმირების გასამართლებელ უმტკიცეს არგუმენტად გვესახება, სრულებითაც არ ვითვალისწინებთ, რომ რუსთაველი ამ სიტყვებს გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენებულ გმირებს ათქმევინებს, თავის გასამართლებლად თუ გასამხნევებლად. ამგვარი ნართაულებით აკი ტარიელიც ცდილობს თავის გამართლებას ფარსადანის წინაშე, მაგრამ შეგვიძლია მისი ნათქვამი სიმართლედ მივიღოთ? რა ხდება მკვლელობის შემდეგ? კატასტროფა, ფიზიკურიც

და სულიერიც. ეს არ არის ხმელი ხის ნედლად შექმნა, ეს სასჯელია. ესე იგი, განგებამ სხვაგვარად განსაჯა. ისინი ცოდვისაგან დიდი ხნის ტანჯვითა და გვემით განიწმინდნენ და, თუ ეს განწმენდა კეთილად დასრულდა, ისევ და ისევ სიყვარულის მადლია.

IX

მართალი სამართალი რუსთაველისეული ტერმინია თუ იქამდეც არსებობდა, ჩვენ ეს არ ვიცით. საიდან მომდინარეობს, მაგის დაზუსტება უსათუოდ საჭირო საქმეა, მაგრამ რას აღნიშნავს, ამას პოემის ტექსტიც არაორაზროვნად გვეუბნება. ეს არის არა კანონზე, არამედ სიმართლის შინაგან განცდაზე დამყარებული სამართალი, სუბიექტური სამართალი, მაგრამ იგი აუცილებლად ობიექტურ საყრდენსაც საჭიროებს, რადგან მაინც სამართალია და არა თვითნებობა. შეყვარებულებს კი სასწორის პინაზე არაფერი აქვთ დასადები, ერთმანეთისადმი სიყვარულის გარდა. მათი სიმართლე პირწმინდად სუბიექტურია და მან გმირები სასჯელისაგან ვერ იხსნა.

თუ როგორია, პოეტის აზრით, სწორად აღსრულებული მართალი სამართალი, ამის მაგალითს ისევ ჰარმონიულ „არაბეთთან“ მივყავართ. ავთანდილი კლავს ჭაშნაგირს, სიუჟეტურად ეს პასაჟი აუცილებელი ნამდვილად არ არის, გვერდის ავლა უმტკივნეულოდ შეიძლებოდა, მაგრამ აუცილებელია, როგორც პარალელი, პარადიგმა. ავთანდილი კლავს ჭაშნაგირს და განგებისაგან არ ისჯება. კანონი ავთანდილს დამნაშავედ

გამოაცხადებდა, მაგრამ მართალი სამართალი არ მიიჩნევს დანაშაულად უკადრებლის მკადრებელი კაცის დასჯას, როგორც იყო ჭაშნაგირი, და ეს სრულიად საკმარისი ობიექტური საყრდენია, თუმცა ავთანდილს, და ეს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, ზურგს სიყვარულის ნამდვილი გრძნობა არ უმაგრებს. მაგრამ განგება არაფრით ავლენს თავის არსებობას, რაც იმის ნიშანია, რომ ცნო ავთანდილისეული მართალი სამართლის სისწორე. ხოლო „ინდოთა“ მართალი სამართალი არ ცნო.

X

შეიძლება შემოგვედავონ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ სხვა მკვლევლობებიც ხდება, გავიხსენოთ თუნდაც ტარიელის მიერ დახოცილი მონები. ისინი სათვალავში მხოლოდ იმიტომ არ შედიან, რომ მონები არიან? დიახ, ნაწილობრივ ალბათ მაგის გამოც, მონის სისხლს გაცილებით ნაკლები ფასი ედო. მაგრამ უმთავრესი, ჩემი აზრით, მხატვრული დატვირთვა უნდა იყოს. გავიხსენოთ, მხატვრულ ნაწარმოებში პიროვნების გამოსაკვეთად რამდენს ცვლის ისეთი უმნიშვნელო დეტალი, როგორიცაა სახელდება. ეს უსახელო მონები იმდენად ცოცხალი ადამიანები არ არიან, რამდენადაც ტარიელის ძლიერებისა და მიუკარებლობის მეტაფორები, რომელთაც მხოლოდ დეკორატიული ფუნქცია აკისრიათ და ქვეშეცნეულად ასევე აღიქმებიან. ზნეობრივი პრობლემა აქ არ დგება.

XI

...„არაბეთი“ და „ინდოეთი“ – ორი გზა და ორი დია-
მეტრულად განსხვავებული შედეგი. საქართველოშიც
მოვლენები შეიძლება ორივე გზით განვითარდეს,
გვეუბნება ორმაგი ქარგა, ჩვენზეა, როგორ მოვიქცევით,
რას ვიზამთ. აქ კი ძველ ცოდვებს ახალიც დაემატა,
რუსი უფლისწულის ამბავი, სახელმწიფო რომ კარგა
ხნით არია და შინაომამდეც მიიყვანა. ეს ამბავი ჯერ
კიდევ იმდენად ახალია, რომ შეუძლებლად მიმაჩნია,
ხვარაზმელის ეპიზოდი გამჭვირვალე მინიშნებად არ
მიეღოთ. პარალელი ცხადია და უეჭველი. ოფიციალური
წყარო იური ბოგოლიუბსკის მოკვეთას – მისი საბოლოო
ბედი აქ არ მოიხსენიება – იმით ამართლებს, რომ
მას ყოველგვარ ბილწებათა საწყაოდ გვიხატავს. ძნე-
ლია, ვერწმუნოთ ამ შავი ფერებით გადამძიმებულ
პორტრეტს, პირიქით, ძალიან ფართო ასპარეზი რჩება
ეჭვისათვის, იმდენად ცდილობს ოფიციალური ვერსია,
ყველაფერი მას გადააბრალოს. მხოლოდ შთამბეჭდავ
გარეგნობასა და ომში სიმამაცეს არ უკარგავს, ნახევარ
საქართველოს საკუთარი თვალით ექნებოდა ნანახი. შინ
კი, ოთხ კედელს შორის, რა ხდებოდა, მიდი და არკვიე.
ის, რაც მას შესწამეს, სიმართლე რომ ყოფილიყო, უკან
მოსაბრუნებელი პირი აღარ ექნებოდა, არც გვერ-
დით აღარავინ დაუდგებოდა. იგი კი მობრუნდა და
ბაგრატიონთა ტახტი, რომელზეც არავითარი უფლება
არ ჰქონდა, კარგა მაგრად შეაზანზარა. მას რომ დემნა
ბატონიშვილის უფლებები ჰქონოდა, შესაძლებელია,
ყველაფერი სხვაგვარად წარმართულიყო.

საფიქრებელია, რომ იგი დაუნდობელი ინტრიგების, დიდი პოლიტიკური დაპირისპირებების ხლართში მოჰყვა. ან კიდევ ჯიქურ სცადა, მართვის ყველა სადავე ხელთ აელო, როგორც მისი წინაპარი ვიკინგები იქცეოდნენ. ასეთ შემთხვევაში გასაკვირი სრულებით არ არის, რომ მეორე ჯერზე საქმე სავინიცობოდ აღარ გაინადეს და ყველა უცხო სასიძოს კარგად ნაცნობი უსახური სოსლანი არჩიეს.

XII

რასაკვირველია, ყველაფერი ეს ვარაუდების სფეროში რჩება, მაგრამ პარალელი ჩრდილოელ უფლისწულთან, როგორც უკვე აღვნიშნე, ცხადია და უეჭველი. ისიც აშკარად გამოჭვივის, რომ რუსთაველი ქართულ სამეფო კარს მაგ საქმეში არ ამართლებს. და, რაკი ახალშექმნილ ნაწარმოებს იდეალურობის საბურველი ჯერ კიდევ არ ემოსა, წამკითხველთ ძალიანაც არ გაუჭირდებოდათ ამის დანახვა. ხვარაზმელის ეპიზოდს აქცენტი არ უკეთდება, მაგრამ უმაგისოდაც მკვეთრია, რადგან სიუჟეტურად ცენტრალური ეპიზოდია, ფაბულის ყველა ძაფი „არაბეთში“ უცხო მოყმის გამოჩენიდან ქაჯეთის ციხის აღებამდე აქ ინასკვება. ვფიქრობ, ცენტრალურია ზნეობრივი პრობლემის თვალსაზრისითაც, თორემ ამდენი მორალისტური განსჯის საგანი არ გახდებოდა, მზერა ძალაუნებურად მასზე ფოკუსირდება. მაგრამ ავტორი კიდევაც რომ ამართლებდეს, სამეფო კარისათვის ხვარაზმელის ამბავი ასეთ შემთხვევაშიც მეტად საჩოთირო იქნებოდა და მას დასტურს ვერ დასცემდა. აგრეთვე ვერც ნესტანის სახეს დასცემდა დასტურს, თუ მას თამარის

ორეულად მიიჩნევედა. და მხოლოდ იმის გამოც არა, რომ ხვარაზმშას მკვლელობაში მისი ხელი ურევია.

XIII

თინათინი რომ თამარის ორეულია, დიდი მტკიცება არ სჭირდება, მაგის საბუთად მამის მიერ თინათინის გამეფებაც კმარა. თინათინი ყველა გარეგნული თუ შინაგანი ნიშნით სრულად წარმოგვიჩინეს თამარის სახის ოფიციალურ ვერსიას. ნესტანი კი თამარის სახის არაოფიციალური ვერსიაა, თამარი, ახლო რაკურსით დანახული. არა, სამეფო კარი ვერანაირად დასტურს ვერ დასცემდა. ნესტანი ვეფხვია, ტარიელს ნესტანი მუდამ ვეფხვს აგონებს, მისი დაკარგვის შემდეგ კი ვეფხვი აგონებს ნესტანს. „ქვე-წვა ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირგამეხებული“ – „ვეფხი შევიპყარ ხელითა, მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა“. აქ ვეფხვის სიმბოლიკა გამოხატავს არა მხოლოდ აგრესიულ სილამაზეს, არამედ შინაგან ბუნებას. ნუ დაგვავიწყდება, რომ ვეფხვი პირველ ყოვლისა მძვინვარების, დაუნდობლობის სიმბოლოა. ნესტანი მშვენიერია, ნესტანი სიკეთით სავსეა, მაგრამ ნესტანი საშიშია. ტარიელი პოემის ყველა ეპიზოდში ცოტათი უფრთხის ნესტანს.

რუსთაველს ოთხივე ქალი, დავარს ნუ მივათვლით, უზადოდ ჰყავს დახატული, მაგრამ სიყვარულით მხოლოდ ნესტანი უყვარს. პოემის მთავარ გმირად, ეს სათაურიდანაც ჩანს, ტარიელი მიაჩნია, არადა, ავთანდილის გვერდით ყოფნა უფრო ეადვილება, მასთან ერთად მღერის, მასთან ერთად ლოცულობს, მასთან ერთად წერს ანდერძის წიგნს, ანუ მასთან ერთად ქმნის

სიუჟეტისათვის „უსარგებლო“ ლირიკულ წიაღსვლებს, ალბათ ყველაზე უკეთესს, „ვეფხისტყაოსანში“ რაც წერია, მაგრამ თინათინი არა, ნესტანი უყვარს. ფატმანიც მოსწონს, ფატმანიც ძალიან მოსწონს, მისი გუნების ქალია, გულანშაროს უმშვენიერეს პასაუებს ფატმანის ეშხი დაატანა, მაგრამ სიყვარულით მხოლოდ ნესტანი უყვარს. „უწყალო ვითა ჯიქია“...

XIV

თუ თავისი პოემა დაკვეთით დაწერა, „ქება წარბთა და წამწამთა, თმისა და ბაგე-კბილისა“ თქვა ლალად და ძალდაუტანებლად, უხვად და უმშურველად, რაკი ეს სიმართლევც იყო, მაგრამ მას თავისი საკუთარი სიმართლევც უნდოდა ეთქვა, არა კარისკაცის, არამედ დიდი ერისკაცისა და დიდი შემოქმედის სიმართლე. რადგან ამგვარი წიგნი მხოლოდ მეფეთა საქებრად არ იწერება, რადგან პრობლემათა ძირისძირში ყოველთვის ფეთქავს ცოცხალი ეროვნული ძარღვი. მან „ინდოთა“ კარი არა მხოლოდ ქებად, არამედ გაფრთხილებად დადო, საიდანაც ბრალდებაც მოისმის. მეფეები კი ბრალდებებს რისხვით იგერიებენ და მათი რისხვა ძალიან საშიშია. აღარას ვიტყვი იმაზე, რომ უძეობის ორმაგი ქარგა – პოზიტივი და ნეგატივი – ბაგრატიონთა ღვთაებრიობისა და მესიანიზმის მიმართ გარკვეულ ეჭვსაც შეიცავს, რაკილა ნეგატივიც არსებობს. ალბათ ესეც კი საკმარისზე მეტი იყო, რომ სამეფო კარი მაღლიერი არ დარჩენილიყო და თავისი უკმაყოფილება არაორაზროვნად გამოეხატა.

მაგრამ არის კიდევ ერთი შეფარული სიუჟეტური ხაზი, ყველაზე სახიფათო მინიშნებათა გორგალი.

„დავარ იყო და მეფისა, ქვრივი, ქაჯეთს გათხოვილი“.

სხვა ადგილას თვითონაც ქაჯად მოიხსენიება: „მან უამბო დავარ ქაჯსა“... ამით, რასაკვირველია, მის ბნელით მოცულ სახეს პლასტიკურობა, სიღრმე და მნიშვნელოვანება ემატება, მაგრამ თუ ქართული სამეფო ოჯახი „ინდოთა“ კართან თავს რაიმე ნიშნით გააიგივებდა, მაღლობას არც ამ ნათესაობისთვის იტყოდა. თუმცა ეს ისეთი უმნიშვნელო წვრილმანია, სათქმელადაც არ ეღირებოდა, სხვა, ბევრად მნიშვნელოვანი სათქმელი რომ არ მოჰქონდეს. მთავარი ამ მხრივ არც ის არის – არადა, შეუძლებელია, არ გვეუცნაუროს! – რომ ნესტანი, ასე გამოდის, ქაჯის გაზრდილია, დავარი ხომ მისი აღმზრდელი იყო. რაიმე ლაფსუსი რუსთაველის რანგის შემოქმედსაც შეიძლება გაეპაროს, მაგრამ ამგვარი შტრიხი გმირის პორტრეტზე, თანაც დიდოსტატის ხელით, შემთხვევით არასოდეს იდება. პოეტი აქ არავისზე არავითარ მინიშნებას არ აკეთებს, მხოლოდ მხატვრულ მიზანს მიეღტვის. გამოდის სწორედ ის, რაც უნდა გამოდიოდეს, გინდ გვეუცნაუროს და გინდ არა: ნესტანი დემონურ საწყისთანაც არის წილნაყარი. მის პორტრეტზე დადებული ეს თამამი შტრიხი გენიალურია – ნესტანი ზესკნელიც არის და, ამავე დროს, ქვესკნელიც. „ძლიერ არს, ვითარცა სიკვდილი, სიყვარული, ფიცხელ არს, ვითარცა ჯოჯოხეთი, სახმილი მისი“... ბიბლია, ქებათა ქება...

ამ ორმაგობას გმირის ხასიათიც ადასტურებს, და კიდევ – ორი მზის საოცარი სიმბოლიკა, ზვიად გამსახურდიას მიერ გახსნილი. მაგრამ ყოველივე ამას აქ ახლა

გვერდი უნდა ავუაროთ, აქ ახლა ჩვენთვის მთავარი გაცილებით მოკრძალებული, გაცილებით უმნიშვნელო რამ არის, სახელდობრ ის, რომ დავარი მეფის დაა. არადა, რატომ მაინცდამაინც მეფის და? რა აუცილებლობითაა ეს უახლოესი ნათესაობა ნაკარნახევი? თანაც ისეთი აუცილებლობით, რომ სახელშიც კი გახშიანდა – „და ვარ“. და ვარ, რომელსაც საკუთარი ძმა წამებით სიკვდილს მიმზადებს, იმგვარ სიკვდილს, რომ აქვე, ადგილზევე, თავის მოკვლა მირჩენია. დიახ, დავარი სწორედ მაგიტომ, სწორედ მაგ საჭიროების გამო არის მეფის და, უნდა ფარსადანი თავისი მრისხანე ხასიათით უფრო თვალნათლივ წარმოისახოს, უბრალო გამზრდელის დასჯა ასე შემადრწუნებელი არ გამოჩნდებოდა.

დავარი მძვინვარედ სასტიკია, მაგრამ არანაკლებ მძვინვარედ სასტიკია ფარსადანიც, თავის სისხლსა და ხორცს წამებით მოკლავს, ხელი არ აუთრთოლდება. თან რისთვის, რა დანაშაულისთვის? „მან აგრე თქვა: უბრალო ვარ, იცის ღმერთმან სახიერმან“. ფარსადანის პროტოტიპად კი ვინც შეიძლება წარმოვიდგინოთ, დღესავით ნათელია. თანამედროვეებს ნამდვილად არ გაუძნელდებოდათ ამის ამოცნობა, კაენური ცოდვის მაგალითი იქვე, ხელისგულზე ედოთ, შორს წასვლა არ დასჭირდებოდათ. მინიშნება უდავოდ სახიფათოა (ვინ არის ეს მოდგმა!), მაგრამ ჯერ მაინც ზოგადია. კიდევ რამდენიმე მონაცემი და კონტურები სრული სიცხადით გამოიკვეთება.

XVI

სასიძო მოკლულია, ფარსადანი მძვინვარებს. არადა, მის ტონს დავაკვირდეთ, რა რბილია: „თუ ჩემი ქალი გინდოდა, რატომ არ შემაგებინე, ხვარაზმშას სისხლი უბრალო სახლად რად დამადებინე“? მიამიტური გაცე-ბით უთვლის იგი ტარიელს. დროზე რომ „შეეგო“, ყურს ჩასწვეთებოდა, ქალს როგორ დაუკავებდა! ტარიელისა მას უზომო შიში აქვს, ნესტანის სიტყვებიდან ეს უკვე ვიცით: „ქმნას მეფემან ყელ-მოტეხვით შემოხვეწა, შემოკვდომა, ხელთა მოგცეს თავი ჩემი“... საიდან მომდინარეობს ეგ შიში, ძნელი მისახვედრი არ არის: „ქალაქი მქონდა მაგარი, მტერთაგან მოურევარი... კაცნი გავგზავნენ, ვაცნობე ყოვლგან ლაშქარსა ყველასა: აქა მომმართეთ, ვინცალა ჩემსა იქმოდეთ შველასა“. შეუძლებელი სულაც არ ჩანს, რომ ტარიელმა დიდი შინაომი გაუმართოს და ხალხიც მიიბიროს, რადგან ამბოხებისათვის სრული კანონიერი საფუძველი არსებობს. ამ საკითხს ცოტა ხანში ისევ დავუბრუნდებით.

XVII

ახლა კი იმას მინდა ხაზი გავუსვა, რომ ფარსადანმა ზუსტად იცის, რისთვისაც მოხდა მკვლევლობა. ქალ-ვაჟის საიდუმლო მიჯნურობის ამბავი, როგორც მოსალოდნელი იყო, ისეთი საიდუმლოც არ აღმოჩნდა, თავად მონაწი-ლეებს რომ ეგონათ. „მას უყვარდა ქალი ჩემი, სისხლნი ველთა მოუღვრიან, რა ნახიან ერთმანერთი, არ-შეხედვა ვერ დათმიან“. ფარსადანი დარწმუნებულია, რომ ეს ამბავი დავარმაც იცოდა, და, რასაკვირველია, არ ცდება.

ოღონდ დავარი იმასაც მიმხვდარია, რომ მკვლელობა ნესტანმა ჩაიფიქრა, ტარიელი ამ საქმეს თავისით არ ჩაიდენდა, იცნობს ორივეს ბუნებას – „როსკიპო, ბოზო დიაცო, საქმრო რად მოაკვლევინე!“ ფარსადანს კი აქ გამჭრიახობა დანამდვილებით ღალატობს, იგი დავარს ქალ-ვაჟის მესაიდუმლედ მიიჩნევს და მკვლელობის შთამაგონებელიც თავისი ასული კი არა, დავარი ჰგონია: „მე ღმრთისა ვუთხარ, დაუბამს მას ეშმაკისა ბადესა! მათ ბოზ-კუროთა ასეთი რა მისცეს, რა უქადესა“?

ყოველივე ზემოთქმულიდან ერთი რამეც, ვფიქრობ, ნათელია: ფარსადანს ტარიელი სიძედ არ უნდოდა, ხვარაზმელი უფლისწულიც სწორედ მაგ მიზეზით ჩანს მოწვეული – მოციქულებს ვაჟთან, თანაც ასე სასწრაფოდ, თავად ქალის მამა გზავნის: საიდუმლო მიჯნურობა უნდა იქამდე აღიკვეთოს, სანამ საქვეყნოდ არ გაცხადებულა. ტარიელს სათათბიროდ მაშინლა იბარებს, როცა ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია: „მათ წინასვე დაეპირა იმა ყმისა შენი ქმრობა“. ტარიელის დასტური ფარსადანს აუცილებლად ესაჭიროება და ცდილობს, ისეთი გარემო შეუქმნას, რომ ეს უნებური დასტური მოწმეთა თანდასწრებით გამოსძალოს, რაც, ისევ და ისევ ტარიელის ბუნების წყალობით, არც თუ ძნელად მისაღწევი გამოდგება. ნესტანისათვის კი საერთოდ არაფერი უკითხავთ, ნუთუ მის ხასიათს ასე ცუდად იცნობდნენ? არ იცოდნენ, რა ქარიშხალი დაუტრიალდებოდათ? პირიქით, სწორედ იმიტომაც არ უთხრეს, ძალიან კარგად რომ იცნობდნენ. ამჯობინეს, ფაქტის წინაშე დაეყენებინათ.

XVIII

თავიდან კი ფარსადანი ტარიელს ამზადებდა სამეფოდ, მერეღა გადაიფიქრა, როცა დარწმუნდა, რომ მის ასულს სახელმწიფოს გაძლოლა შეეძლო. მაინც რატომ ზრდიდა სამეფოდ, მხოლოდ იმიტომ, რომ ასე მოეგუნება? ანდა რატომ მიიჩნევს ტარიელი, რომ ტახტი მას ეკუთვნის? იმის გამო, რომ უებრო მეზრძოლია? „შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე, ინდოეთი ჩემი არის, არვის მივცემ ჩემგან კიდე!“ ფარსადანს კი ამაზე არავითარი პასუხი არ მოეძევება. რატომ, რა ხდება?

მიზეზს დიდი ძებნა არ სჭირდება, ტექსტშივე შავით თეთრზე წერია, სიტყვები ფარსადანის მიერ არის წარმოთქმული: „მეფემან თქვა: შვილად გავზრდი, თვით ჩემივე გვარი არსა“. გვარი ძველ ქართულში, ისევე როგორც დღეს, ბევრი რამის აღმნიშვნელი შეიძლება იყოს, მაგრამ აქ კონტექსტი სხვა გაგების საშუალებას არ ტოვებს, აქ ეს სიტყვა მხოლოდ და მხოლოდ საგვარეულოს აღნიშნავს. ტარიელი იმავე დინასტიის გვერდითი შტოა, ერთადერთი ვაჟი-მემკვიდრეა – „ერთილა მე ვარ მემკვიდრე, ყველაი თქვენ მოგხდომია“ – და ტახტი ყველა წესის მიხედვით მას ეკუთვნის. ფარსადანი ტახტის უზურპაციას ახდენს თავისი ქალის სასარგებლოდ...

XIX

ფარსადანი ტახტის უზურპაციას ახდენს თავისი ქალის სასარგებლოდ და აქ უკვე ჩვენ თვალწინ არაორაზროვნად იკვეთება დემნა ბატონიშვილის სახე, მთელ ამ პასაჟებს მისი ტრაგიკული ჩრდილი აფენია, უბედური უფლისწულისა, ერთადერთი კანონიერი მემკვიდრისა, რომლის უფლებათა უზურპაციაც ასე საქვეყნოდ მოახდინეს. ამას უკვე სახიფათო მინიშნებაც აღარ ჰქვია. სამეფო კარის თვალით თუ შევხედავთ, „თანამდებ არს სასჯელისა“.

ხოლო თუ ლეგენდად გამკრთალი ცნობა თამარისა და დემნას ურთიერთლტოლვის შესახებ იმ დროშივე გაჩნდა, აუცილებელი არ არის, რომ სიმართლე იყოს, თუ იმ დროშივე, როგორც იტყვიან, გაჭორიჭორდა, პარალელი კიდევ უფრო სრულია და მინიშნება კიდევ უფრო ზუსტი.

ამგვარი ქორწინება ჩვენში, სხვათაგან განსხვავებით, სამეფო გვარსაც ეკრძალებოდა, მაგრამ ქართულ ეკლესიას, იმ ექსტრემული და ჩიხური სიტუაციის გათვალისწინებით, თანხმობაც რომ გამოეთქვა, თვითონ მამა არ დაუშვებდა, რადგან დემნა ბატონიშვილი, კანონიერი მემკვიდრე, თავადვე შეიქმნებოდა მეფე, დავით სოსლანობას არ გასწევდა. მამას კი თავისი ასულის გამეფება ეწადა, არა გადედოფლება. ფარსადანის შეფარული მიზანიც სწორედ ეს არის, მაგიტომაც არ უნდა ტარიელი სიძედ, მასაც გამეფება სწადია თავისი ქალისა, არა გადედოფლება.

ცხადია, დემნა ბატონიშვილს ტარიელის სრულ პროტოტიპად მიიხსივს ვერ დავსახავთ, ტარიელი ეპოსის გმირია და უბედური უფლისწულის ხვედრს ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაიზიარებდა.

ის სასჯელი, რომელიც ბიძამ ძმისშვილისათვის აირჩია, ზუსტად გვაუწყებს, საიდანაც მოელოდა მთავარ საფრთხეს და ყველაზე დიდ შიშად რა ჰქონდა ჩაყოლილი: მან იგი დაასაჭურისებინა. თვალებიც დასთხარა, თვალები რითიღა აშინებდა? საბრალომ ვედარ გაუძლო და სული განუტევა. საფიქრებელია, რომ დაბრმავებულ-დასაჭურისებულმა სულაც თავი მოიკლა.

მას და ტარიელს შორის ნებელობის მხრივაც ილანდება გარკვეული მსგავსება. მართალია, მემამტიანე გვაუწყებს, რომ დემნა ბატონიშვილმა ბიძას აჯანყება მოუწყო, მაგრამ ეს უნიათო წინააღმდეგობა აჯანყებას კი არა, სასოწარკვეთას უფრო ჰგავს, თავის გადარჩენის განწირულ მცდელობას, თუ სულაც ბიძის მიერვე არ იყო პროვოცირებული. თუმცა პროტოტიპებისა და ქრონოლოგიების ძებნა მნიშვნელოვანი არც არის. მთავარი სათქმელი აქ ერთი წინადადებით შეიძლება გამოიხატოს:

„ინდოთა“ სამეფო კარი მხოლოდ და მხოლოდ იმ ცოდვა-მადლისაგან იქსოვება, რომელიც საქართველოს სამეფო კარზე ტრიალებდა!

ვფიქრობ, გასაგებია, რატომ არის ყოველივე ეს არააქცენტირებული, ყრუდ მოწვდილი. კიდევ მკვეთრი

აქცენტებიც რომ დასმულიყო! მკვეთრი აქცენტი პოემის დასაწყისშივე თინათინის გამეფებაზეა დასმული, საერთო სინარულზე და ზარ-ზეიმზე, მინიშნება ღიად და სრული ალტაცებით კეთდება, რაც წინასწარგანზრახულად აძნელებს იმის ვარაუდს, რომ „ინდოთა“ სამეფო კარიც შეიძლება ქართულ სინამდვილეს ასახავდეს. დღეს კი იდეალურობის ხიბლით მონუსხულნი უკვე ეჭვადაც აღარ ვუშვებთ ნეგატივის შესაძლებლობას.

XXI

...პოეტმა შეჭველად იცოდა, რაოდენ სახიფათო იყო მისეული სიმართლე, ისიც იცოდა, დროს იხელთებდნენ მტრები და მოშურნეები, ყველგან, ყოვლად უწყინარ სტროფებშიც, ბოროტ ჩანაფიქრს აღმოუჩინდნენ, და მან მიზანშეწონილად მიიჩნია, უკან დასახევი გზა არ მოეჭრა – „ესე ამბავი სპარსული“.

თუ ჩემი ვერსია სიმართლესთან ახლოა, ეს სტროფი ერთადერთ ადრესატს, სამეფო კარს მიემართება: „ვერძნობ, საჭოჭმანო საქმე იყო ამ ქარგის ალება, რადგან მასში მართლაც არის ზოგი რამ, რაც შეიძლება მინიშნებას ჰკავდეს, მაგრამ მე ისე მოვიხიბლე ამ მშვენიერი ქმნილებით, ამ ობოლი მარგალიტით, რომ მაინც დავყევი ცთუნებას. ის, რაც ბრალდებად შეიძლება შემომიტრიალდეს, სინამდვილეში სპარსული დედნიდან მოდის. ერთადერთი ბრალი რაც მიმიძღვის, ცდუნებას დავყევი. ჩემი ხელმეძმნელი სწორად გამიგებს და ამა საქმეს ხელდასხამს“.

XXII

ჯერ კიდევ იყო იმედი, რომ თამარის ქება და პოემის მომწესხველი ძალა გადაწონიდა. სამეფო კარს საშუალება ეძლეოდა, შორსმჭვრეტელობა გამოეჩინა და თავი მოეტყუებინა. რა თქმა უნდა, შესაძლებელია ამგვარი ვერსიის დაშვებაც, თავის მოტყუების ვერსიისა, მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ კარმა ეს არ ინება. სხვაფრივ როგორღა უნდა აიხსნას ის გამაოგნებელი ფაქტი, რომ ერის უპირველესმა წიგნმა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ზედაპირზე ვერ ამოაღწია? ამოაღწია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყველა შიში ათკეცად გამართლდა და ყოველგვარმა მინიშნებამ პოლიტიკური სიმძაფრე დაკარგა. ერთადერთი ახსნაა, ნაჩქარევად გადაწერილი ნუსხები ფარულად ვრცელდებოდა.

პოეტიცა და მისი წიგნიც შეირისხა. ლეგენდა გვეუბნება, რომ პოეტი სამშობლოდან განიდევნა. შესაძლოა, ბერად აღკვეცეს და მართლა იერუსალიმის ქართულ მონასტერში აღესრულა. წიგნი, რა თქმა უნდა, გადარჩა, ასეთ წიგნს ვერა ერთი ვერ დათმობდა, მაგრამ პოეტზე ლეგენდების მეტი არაფერი შემოგვრჩა. სახელიც კი – შოთა – მხოლოდ ლეგენდამ შემოგვინახა.

XXIII

თითქმის დაუფერებელია: იდეალური მეფე, იდეალური სამეფო კარი, იდეალური ხანა, იდეალური მგოსანი – და უცებ ასეთი პერიპეტია. მაგრამ იმითვე მინდა დავასრულო, რაც უკვე რამდენჯერმე ვთქვი: სწორედ ამგვარი ხედვა არ გვანებებს ზოგჯერ სრულიად ცხადი საგნებისა თუ მოვლენების მიუდგომელ დანახვას.